ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორიათას ცამეტი წლის ორ ოქტომბერს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა **შპს "დეა კოსმეტიკს"-ის დირექტორმა მაილ ალიევმა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის განაცხადის რეგისტრაციის ნომერია: B13079309, საიდენტიფიკაციო კოდი – 406051258, ამონაწერის მომზადების თარიღია 12/08/2013წ.)** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **მაილ ალიევმა** (დაბ. 03.07.1975წ. ბოლნისში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე ბოლნისის რაიონი ს. ჯაფალა, საქართველოს ეროვნული პასპორტი 07PA84777, პირადი: 10001015868, გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს/ბოლნისის/ მიერ 02.04.2009წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ **მაილ ალიევმა** ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **შპს "დეა კოსმეტიკს"-ის დირექტორი მაილ ალიევი** (დაბ. 03.07.1975წ. ბოლნისში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე ბოლნისის რაიონი ს. ჯაფალა, საქართველოს ეროვნული პასპორტი 07PA84777, პირადი: 10001015868, გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს/ბოლნისის/ მიერ 02.04.2009წ.) ვენდობი **გიგა გაჩეჩილაძეს** (დაბადებული 24.10.1984წ. ქუთაისში, რეგისტრირებული მისამართზე ქუთაისი დ. აღმაშენებლის I შეს. №2, პ/მ №გ 1345555, პირადი №60001029997, გაც. სრს ქუთაისის სამსახურის მიერ 04.11.2009წ.) იყოს **შპს "დეა კოსმეტიკს"-ის** წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო რეესტრში, ქ. თბილიის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი ტიპის დოკუმენტი ნებისმიერი დაწესებულებიდან, მიიღოს სხვადასხვა ნებართვა, დადოს ხელშეკრულებები წყლის, ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებით სადისტრიბუციო კომპანიებთან, ხელი მოაწეროს და დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში იჯარის, ქირავნობის, მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, ასევე მათი გაუქმების ხელშეკრულებებს, გადაიხადოს გადასახადები, განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის ორი ოქტომბრის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, *(თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა)*, აგრეთვე დ.ღ.გ 1 ლარი და 80 თეთრი *(თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა)* და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი *(თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა)*: – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს "დეა კოსმეტიკს"-ის დირექტორი

მაილ ალიევი _____

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი

13736040510213

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131043794

რეგისტრაციის თარიღი

02.10.2013 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18